რუსთავის საქალაქო სასამართლო

საქართველო, ქ.რუსთავი, ბოსტანიძალაქის ქ. № 6; ტელ: კანცელარია 0341 240805;
მისაღები: 0341 24 08 07;

№955/გ

08 ივლისი 2022 წ.

ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა N13ბ;

„საქართველოს სასამართლოს გუშაგი"-ის დირექტორს,
ქალბატონ ნაზი ჯანეზაშვილს

ქალბატონო ნაზი,

2022 წლის 28 ივნისს რუსთავის საქალაქო სასამართლოში შემოსული თქვენი N13065 წერილის პირველი პუნქტის პასუხად გიგზავნით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2017 წლის 07 ნოემბრის 377/თ, 2018 წლის 20 ნოემბრის N533/თ, 2018 წლის 21 ნოემბრის N536/თ, 2018 წლის 30 მაისის N235/თ, 2018 წლის 30 ივლისის N343/თ, 2019 წლის 21 თებერვლის N81/თ, 2019 წლის 28 მაისის N161/თ, 2021 წლის 19 აპრილის N84/თ, 2021 წლის 25 ივნისის N141/თ, 2021 წლის 09 დეკემბრის N458/თ, 2022 წლის 14 თებერვლის N115/თ, 2022 წლის 15 მარტის N186/თ, 2022 წლის 28 მარტის N211/თ, 2022 წლის 28 მარტის N212/თ, 2022 წლის 11 აპრილის N229/თ ბრძანებების ასლებს.

წერილის მეორე პუნქტის პასუხად, რომლითაც ითხოვთ საჯარო ინფორმაციის სახით გეცნობოთ სასამართლოს 2021-2022 წლის ბიუჯეტის ოდენობა, მათ შორის შრომითი ანაზღაურების, საქონლის და მომსახურების შესყიდვის ოდენობის თაობაზე, გაცნობებთ, რომ ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე განთავსებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს ვებ.გვერდზე.

მესამე პუნქტის პასუხად, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას ბიუჯეტის მიხედვით, 2021-2022 წლებში მოხელეთა პროფესიული განვითარების და ხელშეწყობის პროგრამებისთვის გამოყოფილი ან/და დახარჯული თანხის ოდენობის თაობაზე, გაცნობებთ, რომ აღნიშნულზე პასუხს გაგცემთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი.

თქვენი წერილის მეოთხე პუნქტის პასუხად გაცნობებთ, რომ სხვა სასამართლოში მოსამართლეების მივლინება არ მომხდარა.

წერილის მეხუთე პუნქტის პასუხად გაცნობებთ, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოში 2021 წელს შემოსულ იქნა:
- 801 სისხლის სამართლის საქმე;
- 3253 სამოქალაქო საქმე;
- 379 ადმინისტრაციული საქმე;

განხილულ იქნა:
- 922 სისხლის სამართლის საქმე;
- 3298 სამოქალაქო საქმე;
- 355 ადმინისტრაციული საქმე;

რაც შეეხება წერილის მეექვსე პუნქტის მოთხოვნას, ჩვენთვის უცნობია თუ რას გულისხმობთ პროცენტულ ოდენობაში, მაგრამ თუ ნაშთად დარჩენილი საქმეების რაოდენობა გაინტერესებთ, გაცნობებთ, რომ 2021 წელს ნაშთად დარჩენილი იქნა - 2806 სამოქალაქო საქმე, - 119 ადმინისტრაციული საქმე და - 277 სისხლის სამართლის საქმე.

თქვენი წერილის მეშვიდე პუნქტის პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან, რუსთავის საქალაქო სასამართლოს არ გააჩნია სრული წვდომა ელექტრონული განაწილების პროგრამის სტატისტიკურ მონაცემებზე, შეუძლებელია ჩვენი მხრიდან გაიცეს ზუსტი მონაცემები, რის გამოც მოკლებული ვართ შესაძლებლობას დავაკმაყოფილოთ ამ ნაწილში თქვენი მოთხოვნა. აღნიშნულზე პასუხს გაგცემთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანაახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზემდგომ თანამდებობის პირთან.

დანართი: ბრძანებების ასლები;

პატივისცემით,
მაია იასეშვილი

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი